ბელა სარია
ეთერ აფხაზავა

ტესტები

კითხვისა და წერის უნართა განვითარებისათვის

VI

დიოგენე
დაწყებითი
სკოლა

რედაქტორი	**თინათინ ბოლქვაძე**
დიზაინერი და ტექნიკური რედაქტორი	**დალი ჯვარშეიშვილი**
ყდის დიზაინერი	**ანა ოსიაშვილი**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024, I გამოცემა
© ბელა სარია, ეთერ აფხაზავა

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-897-5

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21

elfosta adm@diogene.ge

www.diogene.ge

რედაქტორისაგან

ტესტების წინამდებარე კრებული ეფუძნება დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მოთხოვნებს. თითოეული ტესტი კომპლექსურია. მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ტექსტებსა და მათზე დაყრდნობით შექმნილ დახურულ თუ ღია ტიპის, მრავალფეროვან, სახალისო ტესტურ და შემაჯამებელ-შემოქმედებით წერით დავალებებს.

ტესტის მიზნია დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის გამოვლენასა და გაღრმავებაში.

შეთავაზებული ტესტური დავალებები მსწავლელს გაწაფული კითხვის, ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება-გააზრების, კრიტიკული შეფასებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარ-ჩვევათა განვითარებასა და სრულყოფაში ეხმარება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწალეს აქვს საშუალება შეადგენოს ტესტში მოცემული საკთხავი მასალის ანალოგიური სტრუქტურის, ჟანრისა და ფუნქციური დანიშნულების მქონე მცირე ზომის ტექსტები.

ტესტური დავალებები მოსწავლეს ხელს უწყობს, კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით, ფუნქციურ კონტექსტზე დაყრდნობით, სწორად გამოიყენოს ენობრივ-გრამატიკული საშუალებები და ლექსიკა (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.).

ტესტებს ახალავს თვალსაჩინო მასალა (სქემები, ილუსტრაციები, ტიპოგრაფიული მინიშნებები...), რომელიც საკითხავებით დაინტერესების ერთგვარ სტიმულს აძლევს მოსწავლეს.

ტესტური კრებულის უნიკალურობას აპირობებს ლექსიკური სამუშაოები, რომელთა შესრულება მოითხოვს სიტყვის აგებულებაზე, თხზვასა და სიტყვათწარმოებაზე დაკვირვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას.

კრებულის ბოლოს დართულია სწორი პასუხები, რათა მოსწვლემ თავად შეძლოს შედეგების შემოწმება.

ვიმედოვნებთ, ბელა სარიასა და ეთერ აფხაზავას მიერ შექმნილი ტესტურ დავალებათა კებული თავის ფუნქციას შეასრულებს და მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი იქნება დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის.

პროფესორი

თინათინ ბოლქვაძე

1

ტ ე ს ტ ი

ტექსტის გააზრება

ქართლი

„სანადირոდ გამოსულან ამირან და ძმანი მისნი,
მთას ირემი აფრენიათ, ცასა სწვდება რქანი მისი.“

ჭალა-ჭალა, კორტოხ-კორტოხ მეძებრების ყეფა ისმის,
ვაითუ, ირემს მიეწივნენ ანდა კურდღელს, ბრალი მისი!
შეშინებულ მწყერჩიტასებრ მიფრთხიალებს სერზე ნისლი.
კლანჭიანი აგვისტოს მზე მიმინოსებრ ცერზე მიზის...

არაგვზედა, იორზედა ბადეს ისვრის სულკალმახი.
ბადეს თევზი მოჰყოლია სულ წვერა და სულ კალმახი.

ჭალა-ჭალა კრიახია და ბოსტნები ჩასილული,
აქეთ-იქით ლიახვია, ვენახებში ჩასირმული.
აქ ზვინები იმდენია, ტყეს მიაგავს გამობელილს,
კაკაბს გადაჰკიდებია შავი შაშვი მგალობელი.

მელაკუდაც სტრიქონივით მოხტის იგავ-არაკიდან,
გაიპარა ეგ ცბიერი! სულხან-საბას არა ჰკითხა!

ეს ქართლია, ოქროს ქართლი! ფალავნების საბრძანისი!
ეს მზე, ეს ცა, ეს სიმღერა – ალალ მისი! ალალ მისი!

შოთა ნიშნიანიძე

1. ა) ამოწერე ლექსიდან მხატვრული შედარების მაგალითები.

1. _____
2. _____
3. _____

ბ) დაწერე, რა რასთან არის შედარებული.

1. _____
2. _____
3. _____

2. შენი სიტყვებით გადმოეცი, რას ნიშნავს:

კლანჭიანი მზე – _____

3. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ეპითეტი?

ა) „არაგვზედა, იორზედა ბადეს ისვრის სულკალმახი“.
ბ) „მთას ირემი აფრენიათ, ცასა სწვდება რქანი მისი“.
გ) „კლანჭიანი აგვისტოს მზე მიმინოსებრ ცერზე მიზის“.

4. რომელი ციტატაა გაზვიადების (ჰიპერბოლის) მაგალითი?

ა) „მთას ირემი აფრენიათ, ცასა სწვდება რქანი მისი“.
ბ) „შეშინებულ მწყერჩიტასებრ მიფრთხიალებს სერზე ნისლი“.
გ) „ჭალა-ჭალა, კორტოხ-კორტოხ, მეძებრების ყეფა ისმის“.

5. ამოწერე ლექსიდან მითოლოგიური პერსონაჟების სახელები.

---

6. შუა რგოლში ჩაწერე შენთვის გამორჩეული ერთ-ერთი მითოლოგიური გმირის სახელი, დანარჩენში კი – ოთხი მახასიათებელი, რომელთა გამოც ის განსაკუთრებულ პერსონაჟად მიგაჩნია.



7. ლექსში შოთა ნიშნიანიძე მხატვრულად:

ა) გადმოსცეს ამირანის გმირობის ამბავს.
ბ) გვაცნობს ნადირობის უძველეს ტრადიციას.
გ) აღწერს საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს.

8. შოთა ნიშნიანიძის მიზანია:

ა) გაიხსენოს მითოლოგიური გმირები.
ბ) გადმოსცეს ქართლის მომხიბვლელობა.
გ) პატივი მიაგოს სულხან-საბა ორბელიანის ხსოვნას.

9. რა ემოციას გამოხატავს ავტორი ამ ლექსში?

ა) აღელვებას. ბ) წუხილს.
გ) აღტაცებას. დ) სიხარულს.

10. რამდენმარცვლიანი სტრიქონებია ლექსში?

ა) რვამარცვლიანი. ბ) თოთხმეტმარცვლიანი. გ) თექვსმეტმარცვლიანი.

11. ამოწერე ლექსიდან ორი სტრიქონი, რომელთა ბოლო სიტყვებს ერთნაირი ბგერითი შედგენილობა აქვთ, ხოლო მნიშვნელობა – განსხვავებული.

---

12. წაიკითხე ინფორმაციული ტექსტი და უპასუხე კითხვებს.

ქართლი

1. ქართლი ძვ. წ. IV საუკუნიდან იბერიის სამეფოში შედიოდა. მისი დედაქალაქი მეფე ფარნავაზის დროს იყო მცხეთა. V საუკუნის ბოლოდან მეფე ვახტანგ გორგასალმა დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. IV საუკუნეში ქართლში ვრცელდება ქრისტიანული რელიგია.

2. ადამიანი ქართლის ტერიტორიაზე დაახლოებით 2 მლნ წლის წინათ ბინადრობდა. ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არაერთი უნიკალური მასალა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია დმანისის ნაქალაქარი. იგი უძველესია ევროპასა და აზიაში.

3. ქართლში უამრავი ღირსშესანიშნაობაა: კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, ბოლნისის სიონი, რომელმაც შემოგვინახა ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერა (V ს.), ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შემორჩენილია შუა საუკუნეების ქრისტიანული მხატვრობის ულამაზესი ნიმუშები (XII-XIII სს.) და სხვა.

4. დამთვალიერებლები მათთვის საინტერესო ინფორმაციას ამ კუთხის შესახებ ეცნობიან მუზეუმებში, რომელთა შორის გამოირჩევა: მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მემორიალური მუზეუმი ტანძიაში.

5. ქართლის ბუნება თვალწარმტაცია თავისი ხშირი ტყეებით, მთის ცივი, ანკარა წყაროებით, მდინარეებითა და ტბებით, უხვი ნადირითა და თევზით, მინერალური წყლებით, ვრცელი ველებით. ამ ადგილებს მონადირეები ეტანებიან ფრინველზე ნადირობის სეზონის დროს. სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარებულია მეხილეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა-მეფრინველეობა.

6. ქართლის უნიკალური ბუნება და მისი ისტორიული ძეგლები ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის.

12.1. შემოხაზე ის წინადადებები, რომლებიც შეესაბამება ტექსტის შინაარსს.

1. თბილისი ქრისტიანობის გავრცელებამდე იქცა დედაქალაქად.
2. ქართლის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ევროპაში უძველესი ნასახლარი.
3. იაკობ გოგებაშვილი ქართლის მკვიდრი იყო.
4. უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუში აღმოჩენილია დმანისში.
5. ქართლში განსაკუთრებით მევენახეობა არის განვითარებული.
6. ტურისტებს ქართლში შეგვიძლია შევთავაზოთ საინტერესო სანახაობა.

12.2. გაარკვიე, ტექსტ „ქართლის“ რომელ აბზაცს რომელი სათაური შეესაბამება და უჯრედებში ჩაწერე აბზაცის ნომერი.

სათაურები:	**აბზაცები:**
1. ქართლის ბუნება.	☐
2. ცნობები ქართლის ისტორიაზე.	☐
3. მუზეუმები.	☐
4. ტურისტებისთვის მიმზიდველი კუთხე.	☐
5. უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენები.	☐
6. ღირსშესანიშნაობები.	☐

12.3. რა არის ინფორმაციული ტექსტის მიზანი?

ა) ქართლის დახასიათება.
ბ) ქართლის სამეფოს ისტორიული როლის ანალიზი.
გ) მოწოდება ქართლის ბუნების დასაცავად.

12.4. ტექსტის ბოლო აბზაცში:

ა) დასახელებულია ტექსტის მიზანი.
ბ) დასმულია გადასაჭრელი პრობლემა.
გ) ჩამოყალიბებულია დასკვნა.

12.5. ინფორმაციული ტექსტის მიხედვით უპასუხე, რატომ არის ნახსენები ლექსში სულხან-საბა ორბელიანი?

ა) სულხან-საბა ორბელიანი ძვირფასია ავტორისათვის.
ბ) სულხან-საბა ორბელიანი წარმოშობით ქართლელია.
გ) ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის მემორიალური მუზეუმია.

13. შემოხაზე ის წინადადებები, რომლებშიც გადმოცემულია ლექსისა და ტექსტის საერთო ინფორმაცია.

1. ქართლში მრავალი ღირსშესანიშნაობაა.
2. ქართლში საუკეთესო სანადირო ადგილებია.
3. ქართლის ბუნება ლამაზია.
4. ქართლის მდინარეებში ბევრი თევზი ბინადრობს.
5. ქართლში ვენახები ლიახვის ჭალებშია გაშენებული.

14. დაწერე ორი ნიშანი, რომლებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან ზემოთ მოცემული ტექსტები და შეავსე სქემა.

მხატვრული ტექსტი		**ინფორმაციული ტექსტი**	
მახასიათებელი	**მაგალითი**	**მახასიათებელი**	**მაგალითი**
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____

15. შემოხაზეთ სწორი პასუხები.

15.1. ტექსტში სიტყვა *ფალავანი* გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს:

ა) ვაჟკაცს, გმირს. ბ) მოჭიდავეს. გ) მბრძანებელს.

15.2. რომელია *გამოგელილის* სინონიმი?

ა) გადათხრილი. ბ) გაკაფული. გ) გადახნული.

15.3. ოქროს ან ვერცხლის ძაფი არის:

ა) სირმა. ბ) სიმი. გ) ძუა.

15.4. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიზმი *ალალ მისი*?

ა) დამშვენდეს! ბ) დაილოცოს! გ) შეერგოს!

15.5. რომელია არასწორი?

ა) მიმინოსნაირად. ბ) მიმინოსმსგავსად. გ) მიმინოსავით.

15.6. რომელი ნაწილაკი შეიძლება გამოიყენო ზმნებთან: წამოსულან, მოჰყოლია, გადაჰკიდებია?

ა) უნდა. ბ) ნეტავ. გ) თურმე.

16. ამოიწერე ლექსიდან ნართანიან და ებიან მრავლობითში დასმული ორ-ორი სიტყვა და მიუწერე ბრუნვა.

	ნართანიანი მრ. რ.	ებიანი მრ. რ.
1.		
2.		

17. შეცვალე თითეული ზმნის ფორმა კითხვის მიხედვით.

18. ნიმუშის მიხედვით შეავსე ცხრილი.

	გამობელვა	გამობელილი	გამოსაბელი
1.	აფრენა		
2.	გასროლა		
3.	დამოწმება		

19. გარდაქმენი რეკლამად მე-12 დავალებაში მოცემული რამდენიმე ინფორმაციიდან ერთ-ერთი. დაეყრდენი რეკლამის ნიმუშს.

გაითვალისწინე:

- ✓ ინფორმაცია უნდა იყოს საინტერესო.
- ✓ რეკლამა უნდა იწვევდეს ემოციას.
- ✓ უნდა მოერიდო ვრცელ წინადადებებსა და ინფორმაციის სიუხვეს.

ნიმუში:

თანამიმდევრობით შეასრულე ტექსტის თითოეული ნაწილის ბოლოს მოცემული დავალებები.

ერთი დღე გაზაფხულის ცაზე

I

მოკრიალებულ ცაზე გაზაფხულის პატარა ღრუბელი მოცურავს და ისეთი დაღვრემილია, სულ სახე ჩამოსტირის. მოდის და სულ უფრო ღონდება და ღონდება. შემოხვდა წერო.

– ეჰეი, ღრუბლიკო! – შესძახა წერომ, – რა დაგმართვია?

– რაღა რა დამმართვია, მეგობარო, – ამოიოხრა ღრუბელმა და მსხვილი ცრემლები გადმოყარა, – იცი, პატარაობიდანვე როგორ მიყვარს ყვავილები და ბალახი?! მეც მინდა ახლოს მივიდე, თვალებში ჩავხედო, ნაზად დავყნოსო... სულ ასე, ზემოდან უნდა დავყურებდე?!

წერო ჩაფიქრდა. მერე კი უთხრა:

– ცოტა დაიცადე რა, სულ ცოტა, კარგი? – და ძირს დაეშვა.

1. ტექსტის შესავალი ნაწილიდან ვიგებთ:

ა) რა პრობლემა აქვს ღრუბელს.

ბ) სად და როდის ხდება ამბავი.

გ) როგორ გაჩნდა პატარა ღრუბელი.

2. წაიკითხე განმარტება: ემოცია ადამიანის გრძნობაა, განცდაა. ემოციაა შიში, სიხარული, სიყვარული, სიძულვილი, კმაყოფილება, მწუხარება, განრისხება...
განმარტების მიხედვით უპასუხე კითხვებს.

2.1. ადამიანისათვის დამახასიათებელ რომელ ემოციებს ავლენს ღრუბელი ნაწარმოების დასაწყისში?

_____

2.2. როგორ გამოხატავს იგი ამ ემოციას?

_____

2.3. რამ განაპირობა მისი ასეთი ემოციური მდგომარეობა?

_____

3. ა) მიუწერე თითოეულს, რომელ ემოციას გამოხატავს.

ბ) უჯრედებში აღნიშნე ✘-ით, რომელი მათგანი შეესაბამება წეროს ემოციას.



II

წერო დაფრინდა მიწაზე, გრძელი ნისკარტით გადაქექა გაზაფხულის მიწის ხნულები, ამოკრიფა თესლი და აფრინდა ღრუბელთან. თესლი უბეში ჩაუყარა და უთხრა:

– თბილად შეინახე და ბედნიერი იქნები!

ჩაითბუნა ღრუბელმა თესლი და გატრუნული ფრთხილად გასრიალდა ცაზე. რამდენიმე დღის შემდეგ რაღაცნაირად აწრიალდა, აცმუკდა, ჯერ ერთი-ორჯერ ჩაიცინა, მერე კი ახითხითდა და აკისკისდა: თურმე პატარა მარცვლები გაღვივდნენ, ფესვები აატოკეს და უღიტინებდნენ ღრუბელს!

ცოტა ხანში კი, ჰოი, საოცრებავ! ზედ ღრუბლის მკერდზე აბიბინდა მწვანე ჯეჯილი. მალე გვირილაც ამოიზარდა, მიიხედ-მოიხედა და გაიცინა. მას ყაყაჩოები მიჰყვნენ, აღაღანდნენ წითლად.

გაიხარა ღრუბელმა და სიმღერით გააგრძელა გზა. მიდის და მიიმღერის. მღერის და ბედნიერია. ნიავი ეთამაშება მის ყვავილებს. ღრუბლები გაკვირვებით შესცქერიან ამ პატარა ღრუბელ-მდელოს. თუმცა რა არის გასაკვირი? რაღა არ ხდება ამ დალოცვილ ცაზე?!

მერი ბოლქვაძე

4. რა გააკეთა წერომ იმისათვის, რომ ღრუბელს ოცნება ასრულებოდა?

_____

5. დაალაგე ზმნები თანამიმდევრობით ტექსტის II ნაწილის შინაარსის მიხედვით.

☐ ჩაიცინა ☐ ამღერდა ☐ გაიხარა ☐ გაიტრუნა

☐ აცმუკდა ☐ ახითხითდა ☐ აწრიალდა ☐ აკისკისდა

6. დაახასიათე წერო ამ ნაწარმოების მიხედვით.

_____

_____

7. შეავსე სქემა.

შეკითხვა	**პასუხი**	**ამონარიდი ტექსტიდან**
რა გრძნობა დაეუფლა ღრუბელს ნაწარმოების ბოლოს?	_____ _____ _____ _____	_____ _____ _____ _____

8. რა არის უჩვეულო და საოცარი ამ ამბავში?

_____

_____

9. **შეიძლება თუ არა ამ ნაწარმოებს ვუწოდოთ ზღაპარი? შენი მოსაზრების მიხედვით შეავსე სქემა.**

მახასიათებელი	ამონარიდი ტექსტიდან

10. **რა არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი?**

11. **წაიკითხე ტექსტი და შეასრულე დავალებები.**

ბრძენი წერო

ერთმა ბრძენმა მეფეს უკვდავების წყლით სავსე თასი მიართვა და უთხრა:

– თუ ამ წყალს არ დალევ, სიცოცხლეს მალე გამოეთხოვები, ხოლო თუ დალევ, უკვდავებას მოიპოვებ! ახლა შენ იცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

მეფემ გადაწყვიტა, რომ ბრძენთათვის ეკითხა რჩევა.

რაც კი დედამიწის ზურგზე ბრძენი იყო, ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი, ყველამ მის სასახლეში მოიყარა თავი. მათ შორის იყო წეროც. მეფემ მათ თავისი გასაჭირი უამბო და იკითხა, როგორ მოქცეულიყო.

ყველამ უკვდავების წყლის დალევა ურჩია. მხოლოდ წერო დუმდა.

– შენ რას იტყვი?– ჰკითხა მეფემ.

მაშინ წერომ მეფეს კითხვაზე კითხვით უპასუხა:

– უკვდავების წყალს მხოლოდ შენ დალევ, თუ შენს მეგობრებსა და ახლობლებსაც გაუნაწილებ?

– წყალი მარტო ჩემთვისაა მოტანილი და სხვებს ნება არ აქვთ დალიონო.

– დაფიქრდი, გიღირს კი სიცოცხლე უმეგობროდ და უთვისტომოდ?! — ჰკითხა წერომ.

მართლაც, დაფიქრდა მეფე და უკვდავების წყალი აღარ დალია.

აღმოსავლური სიბრძნე

11. 1. **რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?**

ა) უკვდავების წყალი მეფეს წერომ მიართვა.

ბ) მეფემ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბრძენთა რჩევით მიიღო.

გ) წეროს სხვა ბრძენთაგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა.

დ) მეფემ უკვდავებას მიანიჭა უპირატესობა.

11. 2. **რა არის წეროსათვის ამ ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი?**

11. 3. **დაწერე ის სამი თვისება, რომლებითაც ორივე ტექსტის წეროები ჰგვანან ერთმანეთს.**

12. დაასაბუთე, რომ „ბრძენი წერო“ იგავ-არაკია: ჩამოთვალე მახასიათებლები, მოიყვანე სათანადო მაგალითები ტექსტიდან.

იგავ-არაკის მახასიათებელი	მაგალითები

ენობრივი დავალებები

13. დაწერე სიცილის აღმნიშვნელი სიტყვები.



14. რომელი შესიტყვებაა არასწორი?

ა) წითლად ღაღანებს. ბ) წითლად ღუის. გ) წითლად კრიალებს.

15. რომელი შესიტყვებაა სწორი?

ა) სქელი ცრემლები. ბ) მსხვილი ცრემლები. გ) თხელი ცრემლები.

16. აწარმოე მოცემულის საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. საწარმოებლად გამოიყენე უ – ო **ან ნაწილაკი** არა.

	დადებითი	უარყოფითი
1.	კეთილშობილი	
2.	დარდიანი	
3.	ყურადღებიანი	

17. იპოვე ტექსტში მიმართვა და გაარკვიე, რომელი სიტყვით არის იგი გადმოცემული.

ა) კნინობით-ალერსობითი არსებითი სახელით.
ბ) რაოდენობითი რიცხვითი სახელით.
გ) წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელით.

18. შეარჩიე ორი კავშირი, რომელთა მეშვეობითაც პირველ წინადადებაში გადმოსცემ მოქმედების პირობას, მეორეში კი – დროს.

რადგან, თუ, როდესაც, რაც, როგორიც.

1. _____ ამ ჯადოსნურ წყალს დალევ, უკვდავებას მოიპოვებ!

2. _____ ამ ჯადოსნურ წყალს დალევ, უკვდავებას მოიპოვებ!

19. შეარჩიე ორი კავშირი, რომელთა მეშვეობითაც პირველ წინადადებაში გადმოსცემ მოქმედების მიზეზს, მეორეში კი – დროს.

თუ, როდესაც, როგორც, რადგან.

1. ღრუბელი ბედნიერი იყო, _____ ოცნება აისრულა.
2. ღრუბელი ბედნიერი იყო, _____ ოცნება აისრულა.



20.დასვით სასვენი ნიშნები.

საქართველოში გავრცელებულია რუხი წერო გამოსაზამთრებლად წერო ჩრდილოეთ აფრიკაში ინდოეთსა და ჩინეთში მიფრინავს გადაფრენისა და ზამთრობისას ეტანება ხორბლისა და ბრინჯის ყანებს

წერო იკვებება ძირითადად მცენარეთა ღეროებით ფოთლებით კენკრით ასევე მსხვილი მწერებით

ბუდეს იკეთებს წყალსატევების ნაპირზე მაღალ მცენარეებში დებს 2 კვერცხს კრუხობს 28-31 დღეს ბარტყები ფრენას იწყებენ 65-70 დღეში

წერითი დავალება

21. მოუხმე შენს ფანტაზიას და დაწერე ზღაპარი, რომლის პერსონაჟები ღრუბელი და წერო იქნებიან, ოღონდ ამ ჯერზე, პირიქით, ღრუბელმა უნდა გაუწიოს დახმარება ფრინველს.

- ✓ იყავი მთხრობელი.
- ✓ წინასწარ განსაზღვრე, რა უნდა მოხდეს.
- ✓ დაიწყე შესავლით, რომელშიც მკითხველს მიაწვდი ინფორმაციას იმ გარემოს შესახებ, სადაც ხდება მოქმედება. აღნიშნე პრობლემა. შეგიძლია გადმოსცე პერსონაჟების განწყობა.
- ✓ შუა ნაწილში გადმოეცი ძირითადი ამბავი, ჩართე დიალოგი.
- ✓ მოიფიქრე მოთხრობის კეთილი დასასრული.

ტექსტის გააზრება

თანამიმდევრობით შეასრულე ტექსტის თითოეული ნაწილის ბოლოს მოცემული დავალებები.

ჭიანჭველა და ხორბლის მარცვალი

I

მკა დამთავრდა. მინდორში დარჩენილი ხორბლის მარცვალი გულისფანცქალით ელოდა წვიმას, იქნებ როგორმე დაესწრო ყინვის დადგომამდე და ნესტიან ნიადაგში ჩამალულიყო.

მარცვალს ჭიანჭველამ ჩაურბინა, შენიშნა, გაუხარდა და დიდხანს არც უფიქრია, მძიმე ტვირთი ზურგზე წამოიკიდა და ქოშინ-ქოშინით გასწია თავისი ბუდისაკენ.

მთელ ღამეს შეუსვენებლად მიცოცავდა ჭიანჭველა, ხორბლის მარცვალი კი თანდათან ისე დამძიმდა, რომ სიქაგამძვრალს, ქანცგაწყვეტილს სული კბილით ეჭირა. ერთი ფიქრი აძლიერებდა მხოლოდ, როგორმე ბუდემდე უნდა მიეტანა მარცვალი.

– რას იწყვეტ წელს, აქ დამაგდე! – შეევედრა ხორბლის მარცვლი.

– რომ დაგაგდო, ზამთრის სარჩოს გარეშე დავრჩებით. ჩვენ ბევრნი ვართ და ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, ზამთრის მარაგს რაღაც შემატოს, – რიდით უთხრა ჭიანჭველამ.



დაფიქრდა მარცვალი და თქვა:

– მესმის შენი, ასე უნდა იქცეოდეს ყველა პატიოსანი მშრომელი, მაგრამ შენც უნდა გამიგო. ყურადღებით მომისმინე და დაფიქრდი, იქნებ შეიცვალო გადაწყვეტილება.

1. „მთელ ღამეს შეუსვენებლად მიცოცავდა ჭიანჭველა“. რა აძლევდა მას ძალას?

ა) მოსალოდნელი წვიმის შიში.
ბ) სხვებთან თავის მოწონების სურვილი.
გ) პასუხისმგებლობა მოძმეების წინაშე.

2. მარცვალი ჭიანჭველას აფასებს მისი:

ა) მორიდებულობის გამო.
ბ) შრომისმოყვარეობის გამო.
გ) სიძლიერის გამო.

3. შეავსე ცხრილი ტექსტში მოცემული ინფორმაციით.

	ჭიანჭველა	ამონარიდი ტექსტიდან
1.	კვება	
2.	საცხოვრებელი	
3.	ძალა	
4.	მიზანსწრაფულობა	
5.	პასუხისმგებლობა	

4. რომელ თვისებებს გამოავლენს ჭიანჭველა შემდეგ მონაკვეთში? დაასაბუთე შენი ვარაუდი.

II

ჭიანჭველამ, კმაყოფილმა, რომ ამ საუბრით დასვენების საშუალება მიეცა, ჩამოიხსნა მძიმე ტვირთი და ჩამოჯდა.

– იცოდე, – თქვა მარცვალმა, – ჩემში დიდი ძალაა. მე შემიძლია ახალ სიცოცხლეს მივცე დასაბამი. მოდი, მოვილაპარაკოთ.

– რაზე?

– აი, რაზე! თუ სულსწრაფობას არ გამოიჩენ, ჭიანჭველების ბუდეში არ წამათრევ და აქ, ჩემს მშობლიურ მინდორში, დამტოვებ, უდიდეს საიდუმლოს შეიტყობ და ზუსტად ერთი წლის შემდეგ ას ჩემნაირ მარცვალს მიიღებ.

გაოცებულმა ჭიანჭველამ უნდობლად გაიქნია თავი.

– დაიჯერე, ჩემო კეთილო, რასაც გეუბნები, სრული ჭეშმარიტებაა. თუ ახლა დამიჯერებ, ერთი წლის შემდეგ მოთმინებისთვის ასმაგად დაგაჯილდოებ და არც შენი ჭიანჭველების ბუდე დაზარალდება.

5. ამოწერე ამ მონაკვეთიდან ერთი უარყოფითი და ერთი დადებითი თვისება, რომელთა შესახებაც საუბრობს მარცვალი.

1. **უარყოფითი:** _____ **2. დადებითი:** _____

6. *უნდობლად გაიქნია თავი* – რა გამოხატა ჭიანჭველამ ამ ჟესტით?

ა) თანხმობა. ბ) ორჭოფობა. დ) სინანული.

7. რა მიზნით სურდა მარცვალს მინდორში დარჩენა?

ა) სურდა თავისი ვალი მოეხადა.

ბ) სურდა ჭიანჭველა გაეოცებინა.

გ) სურდა ჭიანჭველას მოთმინება გამოეცადა.

8. გამოთქვი ვარაუდი, დათმობს თუ არა ჭიანჭველა ხორბლის მარცვალს. დაწერე, რა გაძლევს ამის საფუძველს.

III

ჭიანჭველამ კეფა მოიფხანა. „ასი მარცვალი ერთის სანაცვლოდ?! ასეთი რამ მხოლოდ სიზმარში ხდება!“ – გაიფიქრა და მარცვალს ჰკითხა:

– როგორ გააკეთებ ამას?

– მენდე! – უთხრა მარცვალმა, – ჩემშია ის ძალა, რომელიც აღმოაცენებს ას მარცვალს. ამოთხარე პატარა ორმო და დამფალი, ზაფხულში კი დაბრუნდი და დანაპირები მიიღე. ჭიანჭელამ აწონ-დაწონა ხორბლის მარცვლის წინადადება, ჩაფლა მარცვალი ორმოში და თავისი ბუდისკენ გასწია.

ერთმა წელმა უცებ გაიარა. ჭიანჭველა დანიშნულ დროს მივიდა დათქმულ ადგილას და ნახა, რომ ხორბლის მარცვალს დანაპირები შეესრულებინა.

ლეონარდო და ვინჩი

9. კეფა მოიფხანა – რა გამოხატა ჭიანჭველამ ამ ჟესტით?

ა) დაფიქრება. ბ) განაწყენება. გ) გაბრაზება.

10. უპასუხე შეკითხვას და შეავსე სქემა.

შეკითხვა	ტექსტი ამბობს...	მე ვფიქრობ...	ამიტომაც...
რატომ ენდო ჭიანჭველა ხორბალს?			

11. საიდუმლო, რომელსაც ხორბალი გულისხმობდა, მდგომარეობდა შემდეგში:

ა) თესლი ის ჯადოსნური მარცვალია, რომელშიც ნაყოფი მწიფდება. მიწაში ჩავარდნილი თესლი ღვივდება და ამოდის ახალგაზრდა მცენარე, რომელიც რამდენიმე ხანში თვითონ მოგვცემს ნაყოფს. ასე გრძელდება სიცოცხლე.

ბ) პურეულ მცენარეთა შორის ხორბალი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე მნიშვნელოვან კულტურას.

გ) ხორბალს მსოფლიოში საერთო სახნავ-სათესი ფართობების 20%-ზე მეტი უკავია. ხორბლის ასეთი ფართო გავრცელების მიზეზი ისაა, რომ იგი საუკეთესო სასურსათო პურეულია.

12. რით იყო მნიშვნელოვანი ჭიანჭველას მიერ გადადგმული ნაბიჯი

1. ჭიანჭველასთვის? _____

2. ხორბლისთვის? _____

13. რომელი ანდაზა შეესაბამება ტექსტის მთავარ სათქმელს?

ა) დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსო.
ბ) ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო.
გ) მოჩქარეს მოუგვიანდესო.
დ) ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

14. დაასაბუთე, რომ „ჭიანჭველა და ხორბლის მარცვალი“ იგავ–არაკია.

_____

15. წაიკითხე ტექსტი ჭიანჭველების ცხოვრების წესის შესახებ და შემოხაზე ის ორი წინადადება, რომლებიც შეესაბამება ტექსტის შინაარსს.

1. ჭიანჭველები ზამთრისათვის სხვადასხვა საკვებს იმარაგებენ, მაგრამ ყველაზე ხშირად მარცვლეულს. 2. პურეულ მცენარეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურას ხორბალი წარმოადგენს. 3. მარცვლეულის შესაგროვებლად ჭიანჭველას დიდ მანძილზე უწევს გადაადგილება. 4. შეგროვებულ ნადავლში ზოგჯერ ნახშირის ნამცეცები და მინის ნამსხვრევებიც ერევა, მაგრამ მუშა ჭიანჭველები ნადავლს საგულდაგულოდ ახარისხებენ და ბუდიდან გამოაქვთ ყველაფერი, რაც საკვებად

უვარგისია. 5. ძველად ხორბლის დასათესად მიწას ხელის იარაღით ამუშავებდნენ. 6. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მარცვლები ნესტიანდება, მაშინ მეომარ ჭიანჭველებს დანესტიანებული მარცვლები მზეზე გამოაქვთ და აშრობენ.

ენობრივი დავალებები

16. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ზედმეტი?

ა) არაქათგამოცლილი. ბ) სიქაგამძვრალი. გ) ქანცგაწყვეტილი.
დ) ილაჯგაწყვეტილი. ე) სასოწარკვეთილი. ვ) ღონემიხდილი.

17. რომელი შესიტყვებაა არასწორი?

ა) ნესტიანი ნიადაგი. ბ) ნესტიანი ჰაერი. გ) ნესტიანი ბალახი.

18. რომელი შესიტყვებაა სწორი?

ა) ნამიანი ნიადაგი. ბ) ნამიანი ჰაერი. გ) ნამიანი ბალახი.

19. რომელი გამოთქმა აღნიშნავს *ჯაფისგან დაღლას*?

ა) წელში გაწყვეტა. ბ) წელში მოხრა. გ) წელში გამართვა.

20. რას ნიშნავს გამოთქმა *სული კგილით ეჭირა*?

ა) ძალიან უჭირდა. ბ) გულიანად ეცინებოდა. დ) მოუთმენლად ელოდა.

21. დაწერე გამოტოვებული ზმნების ფორმები ნიმუშის მიხედვით.

	რას იზამს?	რა ქნა?	რა ქნას?	რა უქნია?
	დააჯილდოებს	დააჯილდოვა	დააჯილდოოს	დაუჯილდოებია
1.			გააფართოოს	
2.		დაავიწროვა		
3.				დაუუთოებია

22. რომელი წინადადება გამოხატავს ნატვრას?

ა) იქნებ როგორმე დავასწრო ყინვის დადგომას!
ბ) როგორმე ბუდემდე უნდა მიეტანა მარცვალი.
გ) ალბათ შეცვლი გადაწყვეტილებას.

23. აღადგინე გამოტოვებული სიტყვები.

1. თუ სულსწრაფობას არ გამოიჩენ, _____ ერთი წლის შემდეგ კმაყოფილი დარჩები. 2. ხორბლის მარცვალი _____ დამძიმდა, რომ ჭიანჭველას სიქა გასძვრა. 3. _____ მარცვალი გექნება, რამდენიც ჯერ არც ერთ ჭიანჭველას არ ჰქონია.

24. ყოველ წინადადებაში დაშვებულია შეცდომა. იპოვე ეს შეცდომები და წინადადებების გასწორივ დაწერე სწორი ვარიანტები.

1. ჭიანჭველამ ქოშინ-ქოშინით გასწია თავის ბუდისაკენ. _____

2. დამტოვე ჩემ მშობლიურ მინდორში! _____

3. ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია ზამთრის მარაგზე იზრუნოს. _____

4. ასი მარცვალი ერთის სანაცვლოთ! ძალინ ბევრია! _____

25. დაალაგე მოცემული წინადადებები ისე, რომ მსჯელობა იყოს თანამიმდევრული. შენ მიერ შერჩეული ვარიანტის მიხედვით ჩაწერე წინადადებების ნომრები უჯრედებში.

1. ადამიანმა თანდათან ისწავლა ჯერ ყანის თესვა, მერე ლეწვა კევრით, შემდეგ კი მარცვლის დაფქვა. 2. უძველეს დროში, სანამ ხორბალი კულტურულ მეცენარედ გადაიქცეოდა, ადამიანმა არც ხორბლის მოყვანა იცოდა და არც პურის ცხობა. 3. ამისათვის ჯერ გამოიგონეს ხელსაფქვავი, შემდეგ წყლის წისქვილი და ბოლოს ელექტროწისქვილი. 4. ის გარეულ ხორბალს აგლეჯდა თავთავებს, ბეგვავდა მარცვლებს, ხალავდა და მოხარშულს ფაფის სახით ჭამდა.

წერითი დავალება

26. გაეცანი საპირისპირო მოსაზრებებს:

- *ერიან ადამანები, რომლებიკ ჩქარობენ და დიდი ფიქრის, განსჯის გარეშე იღებენ გადანყვეტილებებს.*
- *ადამიანთა ნანილი მიიჩნევს, რომ ასჯერ უნდა გაზომოს და ერთხელ გაჭრას.*

შენ ადამიანთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნები? იმსჯელე, რატომ.

✓ მსჯელობაში ჩართე შენი პირადი დამოკიდებულების გამომხატველი გამოთქმები: *არ ვეთანხმები, მეც ასე მგონია, მეეჭვება, არ მჯერა, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...*

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

თანამიმდევრობით შეასრულე ტექსტის თითოეული ნაწილის ბოლოს მოცემული დავალებები.

მელია და მე

I

ვარ ერთხელ ჭალაში, მაისია, ცოტა ნიავი ქრის. ხის ძირას ვერ ვმუშაობ და დავდივარ, მომყუდრეებულ ადგილს დავეძებ. ვეძებე, ვეძებე და ვიპოვე. გამოღრმავებული კბოდეა, შიგ თბილი მზეა ჩამდგარი. მივედი, მივჯექ იმ გამოღრმავებულში, გავიკეთე სათვალე, დავიდე მუხლზე ჩანთა, დავადე ზედ რვეული და დავიწყე წერა. ხან თავჩაღუნული ვწერ, ხან ჭალასა და მთებს მივჩერებივარ, ვფიქრობ.

ჭალა სულ მწვანედ ღადღადებს, მთები ლურჯია, იმ მთების მაღლა კი თეთრი ღრუბლებია.

ავწიე ერთხელაც თავი და რას ვხედავ: იქვე, ოცდაათიოდე ნაბიჯზე, ბუჩქებიდან გამოსულა მელია კუდაგრძელია და მე მიყურებს.

თვითონ ტანწვრილია, გამხდარი, ყურებწამოწვეტებული, ფუმფულა კუდი კი ტანზე დიდი მოსთრევს. მოდის, ნელა, გაუბედაბავად გადმოადგამს ნაბიჯებს, გაჩერდება და რაღაც ეჭვიანად მოწკურავს თვალებს, ვერ მიმხვდარა, ადამიანი ვარ თუ რა ვარ. თუ ადამიანი ვარ, ორ ფეხზე რატომ არა ვდგავარ.



გაბედავს, კიდევ გადმოდგამს ერთ-ორ ნაბიჯს, გაჩერდება და მიყურებს. მე გაუნძრევლად ვზივარ, სუნთქვასაც კი ვიკავებ.

ერთი პირობა გაბრუნდა, ალბათ იფიქრა, ჯობია მთვერიდოთ, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ისევ ჩემკენ წამოვიდა, მომაშტერდა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, ზის და მიყურებს. მე მაინც არ ვინძრევი. ის კი მიყურებს.

1. ტექსტის პირველ აბზაცში ავტორი არ საუბრობს:

ა) სად ხდება მოქმედება.

ბ) რის შესახებ აპირებს იგი წერას.

გ) როგორ ირჩევს მწერალი შემოქმედებით გარემოს.

2. მეორე აბზაცში ავტორი:

ა) გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ბუნების მიმართ.

ბ) ეხმარება მკითხველს წარმოიდგინოს გარემო, სადაც ხდება მოქმედება.

გ) ცდილობს დააინტერესოს მკითხველი მთიანი პეიზაჟით.

3. ტექსტის მიხედვით: ა) აღწერე მელიის გარეგნობა. ბ) ჩამოთვალე მელიის თვისებები.

გარეგნობა: _____

თვისებები: _____